შპს „ასტორია“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404 856 660

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 14
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 16
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 18
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 19
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ასტორიას“ (ს/კ 404 856 660) მფლობელს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ასტორიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი

BAKASHVILI

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ასტორიას“ (ს/კ 404 856 660) მფლობელს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ასტორიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113
contact@bakashviliandco.com
RAS - F - 887264

0177 საქართველი, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia
bakashviliandco.com

CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY

Independent member
Morison Global

ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2023 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2023 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113
contact@bakashviliandco.com
ARAS - F - 887264

0177 საქართველი, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47, Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia
bakashviliandco.com

Independent member
Morison Global

- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113
contact@bakashviliandco.com
ARAS - F - 887264

0177 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47, Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia
bakashviliandco.com

Independent member
Morison Global

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

BAKASHVILI

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113
contact@bakashviliandco.com
ARAS - F - 887264

0177 საქართველი, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia
bakashviliandco.com

CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY

Independent member
Morison Global

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს დალი ბაკაშვილი, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-405399.

დალი ბაკაშვილი

აუდიტორული ფირმა ,,ბაკაშვილი და კომპანია" (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global" დამოუკიდებელი წევრი საქართველოში

რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

30 სექტემბერი 2024 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

BAKASHVILI

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს დალი ბაკაშვილი, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-405399.

დალი ბაკაშვილი დ. ბაკაშვილი
აუდიტორული ფირმა ,,ბაკაშვილი და კომპანია" (ს/კ 211 356 922)
საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global" დამოუკიდებელი წევრი საქართველოში
რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264
30 სექტემბერი 2024 წელი
ქ. თბილისი, საქართველო

995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113
contact@bakashviliandco.com
ARAS - F - 887264

0177 საქართველი, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia
bakashviliandco.com

CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY

Independent member Morison Global

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	**31.12.2023**	**31.12.2022**
ძირითადი საშუალებები	**5**	45,872	45,907
არამატერიალური აქტივები	**-**	44	48
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	**-**	70	900
სულ გრძელვადიანი აქტივები:		**45,986**	**46,855**
მარაგები	**-**	195	210
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**6**	296	328
საგადასახადო აქტივი	**9**	115	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**7**	345	96
სულ მიმდინარე აქტივები:		**951**	**634**
სულ აქტივები:		**46,937**	**47,489**
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
მფლობელთა საწესდებო კაპიტალი	**8**	25,158	25,158
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	**-**	(5,387)	(1,913)
სულ მფლობელთა კაპიტალი:		**19,771**	**23,245**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	**10**	26,957	21,711
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		**26,957**	**21,711**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		209	314
საგადასახადო ვალდებულება	**9**	-	28
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	**-**	-	2,191
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**209**	**2,533**
სულ ვალდებულებები:		**27,166**	**24,244**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:		**46,937**	**47,489**

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: მაია თვალიაშვილი ----------

მთ. ბუღალტერი: პელო ლაბაძე ----------

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 37 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ასტორია (404 856 660)
2023 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური ანგარიშგება
თანხები მოცემულია 1000 ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
ძირითადი საშუალებები	5	45,872	45,907
არამატერიალური აქტივები	-	44	48
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	-	70	900
სულ გრძელვადიანი აქტივები:		**45,986**	**46,855**
მარაგები	-	195	210
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	296	328
საგადასახადო აქტივი	9	115	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	345	96
სულ მიმდინარე აქტივები:		**951**	**634**
სულ აქტივები:		**46,937**	**47,489**
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
მფლობელთა საწესდებო კაპიტალი	8	25,158	25,158
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	-	(5,387)	(1,913)
სულ მფლობელთა კაპიტალი:		**19,771**	**23,245**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	10	26,957	21,711
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		**26,957**	**21,711**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		209	314
საგადასახადო ვალდებულება	9	-	28
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	-	-	2,191
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**209**	**2,533**
სულ ვალდებულებები:		**27,166**	**24,244**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები:		**46,937**	**47,489**

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: მაია თვალიაშვილი

მთ. ბუღალტერი: პელო ლაბაძე

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 37 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 37 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	**31.12.2023**	**31.12.2022**
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	**11**	4,131	2,679
ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი	**12**	(4,377)	(2,810)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი:		**(246)**	**(131)**
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	**13**	(1,160)	(689)
საოპერაციო მოგება		**(1,406)**	**(820)**
უძრავი ქონების რეალიზაციით მიღებული შედეგი			
და სხვა		61	2,698
ფინანსური შემოსავალი	**14**	63	4,455
ფინანსური ხარჯი	**14**	(2,192)	(1,912)
წმინდა ფინანსური ხარჯი		**(2,068)**	**5,241**
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		**(3,474)**	**4,421**
მოგების გადასახადი (ხარჯი)/სარგებელი		**-**	**-**
მოგება დაბეგვრის შემდგომ		**(3,474)**	**4,421**
სხვა სრული შემოსავალი		**-**	**-**
გადაფასების რეზერვი		**-**	**-**
სრული შემოსავლის წლიური ჯამი		**(3,474)**	**4,421**

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 37 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2021	**25,158**	**(6,334)**	**18,824**
წმინდა მოგება	-	4,421	**4,421**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	**-**
დივიდენდები	-	-	**-**
31.12.2022	**25,158**	**(1,913)**	**23,245**
წმინდა მოგება	-	(3,474)	**(3,474)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	**-**
დივიდენდები	-	-	**-**
31.12.2023	**25,158**	**5,387**	**19,771**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	-	4,733	2,966
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	-	(3,173)	(1,852)
დასაქმებულთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრე		(816)	(471)
სხვა ხარჯები	-	(10)	(56)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები		**734**	**587**
გადახდილი პროცენტები	**10**	(42)	(321)
საბიუჯეტო გადასახდელები	-	(855)	59
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**(163)**	**325**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წილის შეძენა/გაყიდვა		-	4,121
ძირითადი საშუალებების შესყიდვა/კაპიტალიზება	**5**	(545)	(2,274)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(545)**	**1,847**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	**10**	1,358	2,294
დაფარული სესხები		(404)	(4,456)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**954**	**(2,162)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა		**246**	**10**
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შედეგი	-	3	(96)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა		**249**	**(86)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში:		**96**	**182**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს:		**345**	**96**

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 37 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ასტორია" (შემდგომში „კომპანია") დაფუძნდა 2010 წლის 15 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები, ქეითერინგული მომსახურება.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზირი N 189ა, ხოლო ფაქტობრივი მისამართი - ქ.თბილისი, ჭონქაძის ქ. N 23 და საიდენტიფიკაციო კოდი: 404 856 660.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები არიან:

პარტნიორები	**2023**	**2022**
ლილით კარაპეტიანი	23,00 %	23,00 %
დავიტ კარაპეტიანი	21,00 %	21,00 %
გენიკ კარაპეტიანი	56,00 %	56,00 %
საერთო ჯამში:	**100%**	**100%**

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდგომ „ფასს სტანდარტები") და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს" ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც ვასკვნით, რომ კომპანიას შესწევს უნარი განაგრძოს ფუნქციონირება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება. იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- სამართლიანი ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით
- სამართლიანი ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება. ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით):

ა) თუ კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

ბ) თუ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანია აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განისაზღვრება კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის ბ5.5.50 და ბ5.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

მოთხოვნების გაუფასურება. კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი წარედგინება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მათი მოკლევადიანი ბუნების გამო სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებად მიჩნეულია მათი სამართლიანი ღირებულება.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზდება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა-ნაგებობები	13-დან 51 წლამდე
მანქანა -დანადგარები	5-დან 12 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-დან 8 წლამდე
მსუბუქი ავტომობილები	5-დან 8 წლამდე

არამატერიალური აქტივები. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას აისახება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ითვლება სასრულად და განისაზღვრება 15 წლით არამატერიალური აქტივების ყველა კატეგორიისთვის. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში და გაუფასურებაზე მოწმდება ყოველთვის, როდესაც ჩნდება არამატერიალური აქტივის გაუფასურების ნიშანი. სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამორტიზაციის პერიოდის, ან მეთოდის შეცვლა ხდება, როდესაც არის ცვლილება მოსალოდნელ სასარგებლო მოხმარების ვადაში, ან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ სქემაში და განიხილება როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში. სასრული მოხმარების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების ნაწილად, რაც არამატერიალური აქტივების ფუნქციის შესაბამისია.

კომპანიის სარგებლობაში მყოფ არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო და სასტუმროს მართვის პროგრამა.

მარაგი. მარაგები არის აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამება ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

მფლობელთა კაპიტალი. მფლობელთა საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი გამოიყენება მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

მოგების გადასახადი. მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი/(ანაზღაურებადი) წლის შემოსავალზე/ (ზარალზე), საანგარიშო თარიღის შესაბამისად არსებული ან სპეციალურად დადგენილი გადასახადის განაკვეთების გამოყენებით, ასევე წინა წლებში არსებული გადასახადების ნებისმიერი კორექტირების გათვალისწინებით.

2017 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა), ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი), გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა.

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი. შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება : (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის, ან

მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისთვის. დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საგადასახადო აქტივის, ან საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

ამონაგები. შემოსავლების აღიარების პოლიტიკა

მომზადების საფუძველი: შემოსავალი აღიარებულია ფასს 15-ის შესაბამისად: შემოსავალი მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან. სტანდარტის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ შემოსავალი აღიარებულია, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, იმ თანხით, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომელსაც ერთეული მოელის, რომ მიეღოს უფლება ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარებისას კომპანია განიხილავს ხუთ საფეხურიან პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე
5. ამონაგების აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

შემოსავალი ოთახის დაჯავშნიდან:

ნომრის დაჯავშნიდან შემოსავალი აღიარებულია, როდესაც სტუმარი იკავებს ოთახს და მომსახურებას უწევს. შესრულების ვალდებულება დროთა განმავლობაში სრულდება, რადგან მომხმარებელი იღებს ოთახის სერვისის სარგებელს.

არაანაზღაურებადი ჯავშნები: შემოსავალი აღიარებულია დაჯავშნის თარიღზე, როდესაც გადახდა არ არის დაბრუნებული, რადგან შესრულების ვალდებულება სრულდება სტუმრისთვის ოთახის დაჯავშნით.

ანაზღაურებადი ჯავშნები: შემოსავალი გადაიდება და აღიარებულია სტუმრის ყოფნისას, როდესაც სერვისი მიწოდებულია.

შემოსავალი საკვებისა და სასმელების გაყიდვიდან:

საკვებისა და სასმელების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მოიხმარს საქონელს ან მომსახურებას. ეს ჩვეულებრივ ხდება, როდესაც სერვისი გათვალისწინებულია რესტორანში ან ბარში.

შემოსავალი ღონისძიებებიდან და ბანკეტებიდან:

ღონისძიებებისა და ბანკეტების მასპინძლობისგან მიღებული შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში, რადგან მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. თუ ხელშეკრულება მოიცავს განსხვავებულ შესრულების ვალდებულებებს, შემოსავალი ნაწილდება შესაბამისად და აღიარებულია თითოეული ვალდებულების შესრულებისას.

შემოსავალი დამხმარე მომსახურებიდან:

დამატებითი სერვისებიდან მიღებული შემოსავალი (მაგ. სამრეცხაო, ტრანსპორტირება, სპა და ა.შ.) აღიარებულია მომსახურების გაწევის მომენტში, რადგან ამ სერვისების კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს მიწოდებისთანავე.

ხარჯის აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობის შედეგად, როდესაც:

ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების, ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით საწარმომ სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალდებულებებს, და

ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

დასაქმებულთა გასამრჯელოები. გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დასაქმებულები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

3. სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს კომპანია აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

ფუნქციონირებადი საწარმო. სასტუმრო ასტორიას ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები შეექმნა, პირველ რიგში, COVID-19 პანდემიის შედეგად, რამაც გამოიწვია დაგროვილი ზარალი 5,387 ლარის ოდენობით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს ვითარება იქნებოდა შემაშფოთებელი სასტუმროს ლიკვიდურობისა და დაუყოვნებელი ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის მხრივ, თუმცა მიმდინარე ვალდებულებების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ვალდებულებას დამფუძნებლის მიმართ და შინაარსით არ არის საწესდებო კაპიტალი.

4. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას. ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

• მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;

• სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;

• სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების

გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით.

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

ბ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბას 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის გვერდი 12-34 მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი და მისი შვილობილი კომპანია კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში) 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება) საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება. შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის

ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

ხელმძღვანელობის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას/ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა-ნაგებობა	დაუმთ. მშენებ-ა *	მანქანა-დანადგარი	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრ.-ტო საშუალებები	სულ
31.12.2021	**16,923**	**13,421**	**16,948**	**117**	**2,092**	**99**	**49,600**
შესყიდვა/კაპიტალიზება	-	17,488	1,596	30	2,421	-	21,535
გასვლა/ჩამოწერა	(187)	(1,492)	(18,544)	(1)	(39)	-	(20,263)
დაგროვილი ცვეთა	-	792	-	13	190	-	995
31.12.2022	**16,736**	**30,209**	**-**	**159**	**4,664**	**99**	**51,867**
შესყიდვა/კაპიტალიზება	-	950	-	9	178	-	1,137
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
31.12.2023	**16,736**	**31,159**	**-**	**168**	**4,842**	**99**	**53,004**

დაგროვილი ცვეთა

31.12.2021	**-**	**(2,211)**	**(93)**	**(1,646)**	**(73)**	**(4,023)**
ცვეთა		(287)	(11)	(634)	(8)	(940)
დაგროვილი ცვეთა		(792)	(16)	(190)	-	(998)
31.12.2022	**-**	**(3,290)**	**(120)**	**(2,470)**	**(81)**	**(5,961)**
ცვეთა		(560)	(12)	(594)	(5)	(1,171)
დაგროვილი ცვეთა		-	-	-	-	-
31.12.2023	**-**	**(3,850)**	**(132)**	**(3,064)**	**(86)**	**(7,132)**

საბალანსო ღირებულება

31.12.2022	**16,736**	**26,919**	**-**	**39**	**2,195**	**18**	**45,907**
31.12.2023	**16,736**	**27,309**	**-**	**36**	**1,778**	**13**	**45,872**

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	497	337
დებიტორული დავალიანების ანარიცხები	(201)	(9)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**296**	**328**

სავაჭრო დებიტორული დავალიანება ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ვადაგადაცილებული და გაუფასურების გარეშე	31.12.2023	31.12.2022
ვადაგადაცილებული, მაგრამ გაუფასურების გარეშე	102	69
ვადაგადაცილება 61-90 დღე	-	-
ვადაგადაცილება 91-180 დღე	212	144
ვადაგადაცილება 181-ზე მეტი	183	124

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	33	23
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	291	58
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	21	15
საერთო ჯამში:	**345**	**96**

8. მფლობელთა საწესდებო კაპიტალი

ა) მფლობელთა საწესდებო კაპიტალი - საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის დაფუძნების დოკუმენტაციაში მითითებული კაპიტალის ნომინალურ ოდენობას. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 25’158 ათას ლარს (2022 წელი- 25’158 ათასი ლარი), რომელიც იყოფა სამ პარტნიორს შორის.

დამფუძნებლები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბ) დივიდენდები - გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია კომპანიის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს სტანდარტის შესაბამისად.

9. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის (2022 წლის 31 დეკემბრით) მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით. ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული საგადასახადო აქტივი, რომელიც შეადგენს 115 ათას ლარს (2022 წელი - საგადასახადო ვალდებულება 28 ათასი ლარი), წარმოადგენს დეკემბრის თვის დღგ-ს და საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებას, რომლის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა.

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

	31.12.2023	31.12.2022
დაკავშირებული მხარეებიდან აღებული სესხი	26,285	20,630
ფინანსური ინსტიტუტიდან აღებული სესხი	672	1,081
გადასახდელი პროცენტები	-	2,191
სულ სესხის გრძელვადიანი ნაწილი	**26,957**	**23,902**

მიღებული სესხი მოხმარდა უძრავი ქონების შეძენას, განსაკუთრებული აქტივის მშენებლობას და მიმდინარე საოპერაციო ხარჯებს.

წმინდა სესხი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია წმინდა სესხის ანალიზი და კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების მოძრაობა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდში.

	2023	**2022**
01 იანვარი	**23,902**	**28,950**
დამატება/(კლება) წლის განმავლობაში	958	(2,382)
საპროცენტო ხარჯი წლის განმავლობაში	2,204	1,820
საპროცენტო გადახდები	(42)	(267)
სესხთან დაკავშირებული გარანტიის პროცენტი	-	36
სესხთან დაკავშირებული გარანტიის პროცენტის გადახდა	-	(36)
გაცვლითი კურსით მიღებული შედეგი	(65)	(4,219)
31 დეკემბერი	**26,957**	**23,902**

11. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

	31.12.2023	**31.12.2022**
შემოსავალი ნომრებიდან და საკონფერენციო დარბაზიდან	4,092	2,671
ქეითერინგული მომსახურება	18	8
სხვა	21	-
სულ შემოსავალი	**4,131**	**2,679**

12. ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი

	31.12.2023	**31.12.2022**
მარაგები	(583)	(332)
ხელფასის ხარჯი	(736)	(422)
მარაგების მოხმარება	(95)	(54)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,185)	(940)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(285)	(133)
კომუნალურები	(615)	(375)
კომუნიკაციის ხარჯი	(133)	(84)
დასუფთავების ხარჯი	(338)	(318)
ჰიგიენური საშუალებების ხარჯი	(157)	(63)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(96)	(89)
სხვადასხვა სასტუმროს საოპერაციო ხარჯი	(154)	-
სულ ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	**(4,377)**	**(2,810)**

13. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი

	31.12.2023	31.12.2022
თანამშრომელთა სარგებელი	(326)	(195)
მარკეტინგული ხარჯი	(126)	(98)
პროფესიული მომსახურება	(42)	(42)
რეკლამის ხარჯი	(41)	(5)
გადასახადი მოგების გადასახადის გარდა	(299)	(294)
ბანკის და სხვა საკომისიოები	(22)	(22)
სადაზღვევო ხარჯი	(25)	(23)
საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	(243)	-
სხვა	(36)	(10)
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	**(1,160)**	**(689)**

14. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშზე		-
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება	63	4,455
სულ ფინანსური შემოსავალი:	**64**	**4,455**
ფინანსური ხარჯი		
მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(2,192)	(1,797)
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	-	(115)
სულ ფინანსური ხარჯი:	**(2,192)**	**(1,912)**
წმინდა ფინანსური ხარჯი/შემოსავალი	**(2,128)**	**2,543**

15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგეს კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი

შესაბამისი ანარიცხები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წინააღმდეგ სასამართლო ან/და სააღსრულებო წარმოება არ ხორციელდება.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	345	96
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	296	328
სულ ფინანსური აქტივები	**641**	**424**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	209	314
მიღებული სესხები	26,957	23,902
სულ ფინანსური ვალდებულებები	**27,166**	**24,216**

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების **(საპროცენტო რისკი)** და ვალუტის კურსის **(სავალუტო რისკი)** ცვლილებების შედეგად.

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	296	-	-	296
სულ ფინანსური აქტივები	**296**	**-**	**-**	**296**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	209	-	-	209
მიღებული სესხები	-	26,957	-	26,957
სულ ფინანსური ვალდებულებები	**209**	**26,957**		**27,166**

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2022
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	38	38	20	96
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	328	-	-	328
სულ ფინანსური აქტივები	**366**	**38**	**20**	**424**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	314	-	-	314
მიღებული სესხები	-	23,902	-	23,902
სულ ფინანსური ვალდებულებები	**314**	**23,902**	**-**	**24,216**

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი აქტივების/ვალდებულებების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე, ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანიას გააჩნია პროცედურები, რომელთა მეშვეობით იგი უზრუნველყოფს, რომ მომსახურება გაეწიოს სათანადო საკრედიტო ისტორიის კლიენტებს და/ან ამოქმედდეს გადახდის ალტერნატიული პროცედურები (ავანსით გადახდა).

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	209	-	-	**209**
მიღებული სესხები	-	26,957	-	**26,957**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**209**	**26,957**	**-**	**27,166**

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	314	-	-	**314**
მიღებული სესხები	-	23,902	-	**23,902**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**314**	**23,902**	**-**	**24,216**

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაკავშირებულ მხარესთან დარიცხული ვალდებულება	**31.12.2023**	**31.12.2022**
მოკლევადიანი სარგებელი:		
ხელფასები	83	123
სესხზე დარიცხული სარგებელი	2,150	1,574
ხარჯად აღიარებული	-	1,697

ოპერაციის ნაშთები	**31.12.2023**	**31.12.2022**
სესხის ძირი	21,903	20,630
სესხზე დარიცხული სარგებელი	4,935	2,749

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

შპს „ასტორია“

მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. კომპანიის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

შპს „ასტორია“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2010 წლის 15 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404 856 660.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ქსელურ სასტუმრო მომსახურებას ადგილობრივ ბაზარზე, კერძოდ, „სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე“ (სასტუმრო რესტორნის გარეშე).

2. კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. ორგანიზაციის ოპერაციების ზედამხედველობას და ყოველდღიურ მართვას ახორციელებს პარტნიორთა მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი.

ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან:

- გენიკ კარაპეტიანი (პასპორტის # AM0216688 / სომხეთი)
- დავიტ კარაპეტიანი (პასპორტის # AK0267227; AR0549660 / სომხეთი)
- ლილიტ კარაპეტიანი (პასპორტის # AN0460471; AS0200843 / სომხეთი)

3. ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი ნომრებიდან და საკონფერენციო დარბაზიდან	4,112	2,671
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	18	8
სულ შემოსავალი	**4,130**	**2,679**

2023 წელი კომპანიისთვის იყოს ზარალიანი. ზარალმა შეადგინა 3,474 ათასი ლარი.

აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი

კომპანიის მიმდინარე აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 951 ათას ლარს. ხოლო გრძელვადიანი აქტივები 45,986 ათას ლარს. სულ ჯამურად კომპანიის აქტივები შეადგენს 46,937 ათას ლარს. კომპანიის ვალდებულებები ჯამურად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 27,166 ათას ლარს.

4. არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები

შპს ასტორიას პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 80 დან 94-მდე.

კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება. როგორც დამქირავებელი, შპს ასტორია სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანია განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს აძლევს კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობას, საქმიან სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანია თანამშრომლობს მომსახურე და პროდუქციის მომწოდებელ კომპანიებთან. წლის დასაწყისში ხდება მომწოდებლების შეფასება და დაშვებული მომწოდებლების ნუსხის დამტკიცება. კომპანია აწარმოებს მუდმივ მონიტორინგს და სწავლობს მომხმარებლის განწყობას. ონლაინ და სოციალური მედიის მეშვეობით ტარდება გამოკითხვები, რითაც უფრო ნათელი ხდება ობიექტების ძლიერი თუ სუსტი მხარეები.

5. კომპანიის სამომავლო გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. 2023

წელს კომპანიის მთავარი ფოკუსი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება.

პოსტ პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპანია ცდილობს დაიბრუნოს ძველი მდგომარეობა ბაზარზე. ურთიერთობს გაყიდვების ახალ სამსახურთან, რათა მოახდინოს გაყიდვების სტიმულირება.

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები: ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

6. კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევითი და საცდელი სამუშაოები

2023 წელს კომპანიას კვლევითი და საცდელი სამუშაოები არ ჩაუტარებია.

7. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

8. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

2023 წელს კომპანიას საკუთარი აქციების შესყიდვა არ განუხორციელებია.

9. კომპანიის საკრედიტო , საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა.

- **საკრედიტო რისკი.** კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საქონლის/მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

- **საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.** საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ ზოგად ეკონომიკურ/პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით, შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

- **საბაზრო რისკი.** საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში. საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

- **სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში. რაც წარმოიქმნება დამფუძნებლის მიმართ არსებული სესხის სახით.

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი.** საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი, თუმცა იქიდან გამომდინარე რომ სასესხო ვალდებულების ნაშთის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს დამფუძნებლის მიმართ არსებული სასესხო ვალდებულებას, მენეჯმენტი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის რისკს მნიშვნელოვნად.

10. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მენეჯმენტი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 04 ოქტომბერს.

დირექტორი: მაია თვალიაშვილი

თარიღი: 30-09-2024წ.

შპს „ასტორია“

მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. კომპანიის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

შპს „ასტორია“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2010 წლის 15 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404 856 660.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ქსელურ სასტუმრო მომსახურებას ადგილობრივ ბაზარზე, კერძოდ, „სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე“ (სასტუმრო რესტორნის გარეშე).

2. კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. ორგანიზაციის ოპერაციების ზედამხედველობას და ყოველდღიურ მართვას ახორციელებს პარტნიორთა მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი.

ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან:

- გენიკ კარაპეტიანი (პასპორტის # AM0216688 / სომხეთი)
- დავიტ კარაპეტიანი (პასპორტის # AK0267227; AR0549660 / სომხეთი)
- ლილიტ კარაპეტიანი (პასპორტის # AN0460471; AS0200843 / სომხეთი)

3. ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი ნომრებიდან და საკონფერენციო დარბაზიდან	4,112	2,671
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	18	8
სულ შემოსავალი	**4,130**	**2,679**

2023 წელი კომპანიისთვის იყოს ზარალიანი. ზარალმა შეადგინა 3,474 ათასი ლარი.

აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი

კომპანიის მიმდინარე აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 951 ათას ლარს. ხოლო გრძელვადიანი აქტივები 45,986 ათას ლარს. სულ ჯამურად კომპანიის აქტივები შეადგენს 46,937 ათას ლარს. კომპანიის ვალდებულებები ჯამურად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 27,166 ათას ლარს.

4. არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები

შპს ასტორიას პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 80 დან 94-მდე.

კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება. როგორც დამქირავებელი, შპს ასტორია სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანია განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს აძლევს კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობას, საქმიან სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანია თანამშრომლობს მომსახურე და პროდუქციის მომწოდებელ კომპანიებთან. წლის დასაწყისში ხდება მომწოდებლების შეფასება და დაშვებული მომწოდებლების ნუსხის დამტკიცება. კომპანია აწარმოებს მუდმივ მონიტორინგს და სწავლობს მომხმარებლის განწყობას. ონლაინ და სოციალური მედიის მეშვეობით ტარდება გამოკითხვები, რითაც უფრო ნათელი ხდება ობიექტების ძლიერი თუ სუსტი მხარეები.

5. კომპანიის სამომავლო გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. 2023 წელს კომპანიის მთავარი ფოკუსი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება.

პოსტ პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპანია ცდილობს დაიბრუნოს ძველი მდგომარეობა ბაზარზე. ურთიერთობს გაყიდვების ახალ სამსახურთან, რათა მოახდინოს გაყიდვების სტიმულირება.

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები: ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

6. კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევითი და საცდელი სამუშაოები

2023 წელს კომპანიას კვლევითი და საცდელი სამუშაოები არ ჩაუტარებია.

7. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

8. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

2023 წელს კომპანიას საკუთარი აქციების შესყიდვა არ განუხორციელებია.

9. კომპანიის საკრედიტო , საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა.

- **საკრედიტო რისკი.** კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საქონლის/მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

- **საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.** საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ ზოგად ეკონომიკურ/პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად

არის დამოკიდებული სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით, შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

- **საბაზრო რისკი.** საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში. საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

- **სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში. რაც წარმოიქმნება დამფუძნებლის მიმართ არსებული სესხის სახით.

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი.** საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი, თუმცა იქიდან გამომდინარე რომ სასესხო

ვალდებულების ნაშთის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს დამფუძნებლის მიმართ არსებული სასესხო ვალდებულებას, მენეჯმენტი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის რისკს მნიშვნელოვნად.

10. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მენეჯმენტი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 04 ოქტომბერს.

დირექტორი: მაია თვალიაშვილი

თარიღი: 30-09-2024წ.